ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01/42

გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **15 იანვარი 2014 წელი**

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის - **გრიგოლ გიორგაძის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N42,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222
ანგარიშის ნომერი: 200122900;
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ
სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის - **გიორგი პატარიძის** სახით
მის: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №68,
ტელეფონი: 294 16 45
საიდენტიფიკაციო კოდი: 203 862 622
საბანკო რეკვიზიტები: სს „პრივატბანკი",
ბანკის კოდი: CAVOGE22
IBAN: GE26TP0034020020000306
(შემდგომში „მიმწოდებელი")

<u>წინამდებარე ხელშეკრლების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტი</u>

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ - „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

1.6 „ვებ გვერდი" ნიშნავს - შემდგომში ვებგვერდს (www.matsne.gov.ge), რომლის მეშვეობითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ღებულობს ელექტრონული სისტემით სარგებლობის მომსახურეობას.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროების დასაკმაყოფილებლად;

2.2 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- **<u>„საკანონმედბლო მაცნეს" ვებ გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურეობის, საინფორმაციო სისტემით სარგებლობის უფლების შესყიდვაზე;</u>**
- **CPV კოდი: 48312000 - ელექტრონული პუბლიკაციის პროგრამული პაკეტი**

შემსრულებელი: _____

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **5,568.00 ლარს (ხუთი ათას ხუთას სამოცდარვა ლარი და 00 თეთრი).**

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 8.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

3.3 ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს მომსახურების მიწოდებასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1 „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებ-გვერდზე (www.matsne.gov.ge) განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით სარგებლობის პირობები და საფასური განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 06 დეკემბრის N225 ბრძანების საფუძველზე;

4.2 მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებით **ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლება განკუთვნილია 29 (ოცდაცხრა) მომხმარებელზე.**

5. მომსახურების შესაბამისობა

5.1 ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა იყოს ინტენსიური, რეგულარული ხასიათის და პასუხობდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

6. ვებ გვერდით სარგებლობის პირობები და ვადები

6.1 ვებგვერდით სარგებლობა განხორციელდება მაცნეს ვებგვერდის საშუალებით, მომხმარებლის სახელების (user name) გააქტიურებიდან **1 (ერთი) წლის განმავლობაში.**

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება დასტურდება მომხმარებლის სახელისა (user name) და პაროლის გადაცემით და წინამდებარე ხელშეკრულების 16.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი სამ ეგზემპლარად.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

8.2 დაფინანსების წყარო: **2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

8.3 ხელშეკრულების **დანართში N1** - ფასების ცხრილში, N28 და N29 პოზიციაზე მითითებული მომსახურების შესყიდვის დაფინანსება მოხდება ბიუჯეტის პროგრამული კოდის - 2704 ,,ბრალდებულთა და მსჯავდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით" ფარგლებში, ჯამური თანხით - **384.00 ლარი;**

8.4 ხელშეკრულების **დანართში N1** - ფასების ცხრილში, N1-დან N27 პოზიციის ჩათვლით მითითებული მომსახურების შესყიდვის დაფინანსება მოხდება ბიუჯეტის პროგრამული კოდის - 2701 „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავებისა და მართვა" ფარგლებში, ჯამური თანხით - **5,184.00 ლარი;**

8.5 ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სხვა საგადასახადო კანონმედბლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

9.1.1 განახორციელოს მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში დაშვება.

9.1.2 უზრუნველყოს მაცნეს ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge), განთავსებული სისტემატიზირებული ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამართული მიწოდება;

9.1.3 უზრუნველყოს მიწოდებულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით.

9.1.4 ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადასცეს შემსყიდველს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის სახელი (user name), პაროლი, ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში ჩართვა და მომხმარებლის თანამშრომელთა ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში დაშვება **დანართი N1**-ის შესაბამისად.

შემსრულებელი: _____

9.1.5 აღკვეთოს მომხმარებლის ელექტრონული მომსახურეობის სისტემაში ნებისმიერი არასანქცირებული შეღწევა.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია:

9.2.1 კონფიდენციალურად შეინახოს ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობისათვის მომხმარებლის სახელი (user name) - პაროლი, უზრუნველყოს მისი დაცვა და არ დაუშვას მესამე პირთათვის მისი გადაცემა;

9.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს „მიმწოდებლთან" ანგარიშწორება ხელშეკრულების 8.2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;

9.2.3 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

9.2.4 თავისი შეხედულებისმებრ შეცვალოს მისთვის გადაცემული პაროლები, და უზრუნველყოს მისი დაცვა;

9.2.5 წარუდგინოს მიმწოდებელს დაზუსტებული და სრული ინფორმაცია **დანართი N1**-ის შესაბამისად.

10. მხარეთა უფლებები

10.1 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

10.1.1 შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

10.1.2 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

10.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

10.2.1 აწარმოოს მოწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი და ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია მიმწოდებელს, მისი აღმოფხვრის მიზნით;

10.2.2 მოითხოვოს მაცნეს ვებგვერდზე განთავსებული ნორმატიული აქტების გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის გამოწვევა განპირობებულია უშუალოდ მიმწოდებლის ბრალეულობით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

11.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და ასევე ნებისმიერი ხელისშემშლელი ფაქტორით რაც უშუალოდ არ მომდინარეობს მიმწოდებლისგან;

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია წინასწარ. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

12.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

შემსრულებელი: _____

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება რომელიც წარმოიქმნება ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით;

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით;

14.2 იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომხმარებელთა რაოდენობა, ხოლო გაზრდის შედეგად საერთო მომხმარებლების რაოდენობა დაექვემდებარება სხვა საფასურის განაკვეთს, ყოველი ახალი მომხმარებლისათვის საფასური განისაზღვრება ახალი განაკვეთის მიხედვით, ხოლო უკვე რეგისტრირებული მომხმარებლების საფასურის განაკვეთი არ შეიცვლება და გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება;

14.3 მომხმარებელთა რაოდენობის შემცირების შემთხვევაში არსებული საფასურით დადგენილი საერთო ღირებულების სხვაობა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

15.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს მოთხოვნის შემთხვევაში ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

15.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

15.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

15.4თუ „მიმწოდებელი“ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

15.4.1 შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს **<u>ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით.</u>**

15.4.2 განუსაზღვროს მომსახურების დასრულებისათვის დამატებითი გონივრული ვადა, რა ვადაშიც „მიმწოდებელი“ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

15.5თუ „შემსყიდველი“ დარწმუნდება, რომ შეუძლებელია მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და „მიმწოდებელი“ დააჯარიმოს **<u>ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.</u>**

15.6თუ „მიმწოდებელი“ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს მომსახურების სრულად დამთავრებას, „შემსყიდველი“ წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და „მიმწოდებელი“ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება **<u>ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს ოდენობით.</u>**

15.7ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.8„შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

15.8.1 თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

15.8.2 „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში;

15.8.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ზემოთ მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

შემსრულებელი: _____

16. ინსპექტირების პირობები

16.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი - **ზურაბ ჯიბღაშვილი,** რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

16.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესყიდული მომსახურეობის ინსპექტირება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება დასტურდება ბეჭდით დამოწმებითა და მხარეთა ხელმოწერებით.

17.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება **2014** წლის **15** იანვრიდან და მოქმედებს **2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

18. განსაკუთრებული პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2 ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი „შემსყიდველთან".

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	**სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"**
გრიგოლ გიორგაძე	გიორგი პატარიძე

შემსრულებელი: _____

<u>დანართი N1</u>

2014 წლის 15 იანვრის N01/42 ხელშეკრულებასთან

#	სახელი და გვარი	სახელი და გვარი (ინგლისურად)	მომხმარებლის სახელი (USER NAME)	E-mail	სტანდარტ. პაროლი	ღირებულება
1	სოზარ სუბარი	Sozar Subari	ssubari	ssubari@mcla.gov.ge	123456	192.00
2	გრიგოლ გიორგაძე	Grigol Giorgazde	ggiorgadze	ggiorgadze@mcla.gov.ge	123456	192.00
3	ბესიკ დევდარიანი	besik devdariani	bdevdariani	bdevdariani@mcla.gov.ge	123456	192.00
4	ეკატერინე ქრისტესაშვილი	ekaterine kristesashvili	ekristesashvili	ekristesashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
5	არჩილ თალაკვაძე	Archil Talakvadze	atalakvadze	atalakvadze@mcla.gov.ge	123456	192.00
6	მირზა სუბელიანი	Mirza Subeliani	msubeliani	msubeliani@mcla.gov.ge	123456	192.00
7	ზურაბ ჯიბღაშვილი	Zurab jibgashvili	zjibgashvili	zjibgashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
8	გიორგი კიკნაძე	Giorgi kiknadze	gkiknadze	gkiknadze@mcla.gov.ge	123456	192.00
9	ანა გუცაევი	Ana Gutsaevi	agutsaevi	agutsaevi@mcla.gov.ge	123456	192.00
10	ამირან ჯეგისაშვილი	Amiran Jebisashvili	ajebisashvili	ajebisashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
11	დავით მიქაძე	Davit Mikadze	dmikadze	dmikadze@mcla.gov.ge	123456	192.00
12	ლევან საბანიძე	Levan Sabanidze	lsabanidze	lsabanidze@mcla.gov.ge	123456	192.00
13	ალექსანდრე დარახველიძე	Aleksandre Darakhvelidze	adarakhvelidze	adarakhvelidze@mcla.gov.ge	123456	192.00
14	მარიამ ჯაჯანიძე	Mariam Jajanidze	mjajanidze	mjajanidze@mcla.gov.ge	123456	192.00
15	გივი ქემოკლიძე	Givi Kemoklidze	gkemoklidze	gkemoklidze@mcla.gov.ge	123456	192.00
16	ირაკლი ივანიძე	Irakli Ivanidze	iivanidze	iivanidze@mcla.gov.ge	123456	192.00
17	გიორგი წაქაძე	Giorgi Tsakadze	gtsakadze	gtsakadze@mcla.gov.ge	123456	192.00
18	შალვა ჯულაყიძე	Shalva Julakidze	sjulakidze	sjulakidze@mcla.gov.ge	123456	192.00
19	მაგული აბუაშვილი	Maguli Abuashvili	mabuashvili	mabuashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
20	ნიკოლოზ გაბედავა	Nikoloz Gabedava	ngabedava	ngabedava@mcla.gov.ge	123456	192.00
21	თამარ გელოვანი	Tamar Gelovani	tgelovani	tgelovani@mcla.gov.ge	123456	192.00
22	გია უჯმაჯურიძე	Gia Ujmajuridze	gujmajuridze	gujmajuridze@mcla.gov.ge	123456	192.00
23	ნატო წიკლაური	Nato Tsiklauri	tnsiklauri	ntsiklauri@mcla.gov.ge	123456	192.00
24	ლელა მაისურაძე	Lela Maisuradze	lmaisuradze	lmaisuradze@mcla.gov.ge	123456	192.00
25	თენგიზ შაქარაშვილი	Tengiz Shakarashvili	tshakarashvili	lmaisuradze@mcla.gov.ge	123456	192.00
26	ირაკლი კორძაია	Irakli Kordzaia	ikordzaia	ikordzaia@mcla.gov.ge	123456	192.00
27	ამირან აბუაშვილი	Amiran Abuashvili	aabuashvili	aabuashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
28	გიორგი ჩიდრაშვილი	Giorgi Chidrashvili	gchidrashvili	gchidrashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
29	ქეთევან ბახუტაშვილი	Ketevan Bakhutashvili	kbakhutashvili	kbakhutashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
			სულ ჯამი:			5,568.00

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გრიგოლ გიორგაძე

მიმწოდებელი:

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"

გიორგი პატარიძე

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 15 იანვარი 2014 წელი

მიმწოდებელი: სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“

ხელშეკრულების № 01/42

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლს „ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“ ვადასტურებთ, რომ საქართველოს სასჯელარსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით:

ვიზირებულია:

1. გრიგოლ გიორგაძე
2. ამირან ჯებისაშვილი
3. ზურაბ ჯიბღაშვილი
4. გივი ქემოკლიძე
5. შალვა ჯულაყიძე

შემსრულებელი:

MCLA 1 14 00008544

09/01/2014

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა მინისტრის პირველ მოადგილეს,
ბატონ გრიგოლ გიორგაძეს

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის
ზურაბ ჯიბღაშვილის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო გრიგოლ,

მოგახსენებთ, რომ 2014 წლიდან საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან ფორმდება ახალი ხელშეკრულება მომხმარებელთა განსაზღვრის მიზნით, დანართი N1-ის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დაავალოთ სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელშეკრულების გაფორმებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

დანართი: "1" ფურცლად.

პატივისცემით,

ზურაბ ჯიბღაშვილი
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

<u>დანართი N1</u>

2014 წლის ---------- ხელშეკრულებასთან

#	სახელი და გვარი	სახელი და გვარი (ინგლისურად)	მომხმარებლის სახელი (USER NAME)	E-mail	სტანდარტ. პაროლი	ღირებულება
1	სოზარ სუბარი	Sozar Subari	ssubari	ssubari@mcla.gov.ge	123456	192.00
2	გრიგოლ გიორგაძე	Grigol Giorgazde	ggiorgadze	ggiorgadze@mcla.gov.ge	123456	192.00
3	ბესიკ დევდარიანი	besik devdariani	bdevdariani	bdevdariani@mcla.gov.ge	123456	192.00
4	ეკატერინე ქრისტესაშვილი	ekaterine kristesashvili	ekristesashvili	ekristesashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
5	არჩილ თალაკვაძე	Archil Talakvadze	atalakvadze	atalakvadze@mcla.gov.ge	123456	192.00
6	მირზა სუბელიანი	Mirza Subeliani	msubeliani	msubeliani@mcla.gov.ge	123456	192.00
7	ზურაბ ჯიბღაშვილი	Zurab jibgashvili	zjibgashvili	zjibgashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
8	გიორგი კიკნაძე	Giorgi kiknadze	gkiknadze	gkiknadze@mcla.gov.ge	123456	192.00
9	ანა გუცაევი	Ana Gutsaevi	agutsaevi	agutsaevi@mcla.gov.ge	123456	192.00
10	ამირან ჯეგისაშვილი	Amiran Jebisashvili	ajebisashvili	ajebisashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
11	დავით მიქაძე	Davit Mikadze	dmikadze	dmikadze@mcla.gov.ge	123456	192.00
12	ლევან საბანიძე	Levan Sabanidze	lsabanidze	lsabanidze@mcla.gov.ge	123456	192.00
13	ალექსანდრე დარახველიძე	Aleksandre Darakhvelidze	adarakhvelidze	adarakhvelidze@mcla.gov.ge	123456	192.00
14	მარიამ ჯაჯანიძე	Mariam Jajanidze	mjajanidze	mjajanidze@mcla.gov.ge	123456	192.00
15	გივი ქემოკლიძე	Givi Kemoklidze	gkemoklidze	gkemoklidze@mcla.gov.ge	123456	192.00
16	ირაკლი ივანიძე	Irakli Ivanidze	iivanidze	iivanidze@mcla.gov.ge	123456	192.00
17	გიორგი წაქაძე	Giorgi Tsakadze	gtsakadze	gtsakadze@mcla.gov.ge	123456	192.00
18	შალვა ჯულაყიძე	Shalva Julakidze	sjulakidze	sjulakidze@mcla.gov.ge	123456	192.00
19	მაგული აბუაშვილი	Maguli Abuashvili	mabuashvili	mabuashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
20	ნიკოლოზ გაბედავა	Nikoloz Gabedava	ngabedava	ngabedava@mcla.gov.ge	123456	192.00
21	თამარ გელოვანი	Tamar Gelovani	tgelovani	tgelovani@mcla.gov.ge	123456	192.00
22	გია უჯმაჯურიძე	Gia Ujmajuridze	gujmajuridze	gujmajuridze@mcla.gov.ge	123456	192.00
23	ნატო წიკლაური	Nato Tsiklauri	tnsiklauri	ntsiklauri@mcla.gov.ge	123456	192.00
24	ლელა მაისურაძე	Lela Maisuradze	lmaisuradze	lmaisuradze@mcla.gov.ge	123456	192.00
25	თენგიზ შაქარაშვილი	Tengiz Shakarashvili	tshakarashvili	lmaisuradze@mcla.gov.ge	123456	192.00
26	ირაკლი კორძაია	Irakli Kordzaia	ikordzaia	ikordzaia@mcla.gov.ge	123456	192.00
27	ამირან აბუაშვილი	Amiran Abuashvili	aabuashvili	aabuashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
28	გიორგი ჩიდრაშვილი	Giorgi Chidrashvili	gchidrashvili	gchidrashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
29	ქეთევან ბახუტაშვილი	Ketevan Bakhutashvili	kbakhutashvili	kbakhutashvili@mcla.gov.ge	123456	192.00
			სულ ჯამი:			**5,568.00**